საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თბილისი

„...ადამიანთა თავისუფალი დრო სულ უფრო მეტად მოემსახურება საზოგადოებრივ მოღვაწეობას, კულტურულ ურთიერთობას, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებასა და მხატვრულ შემოქმედებას. ფიზკულტურა და სპორტი დამკვიდრდება ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან


3 აგვისტო
ხუთშაბათი,
1961 წ.
№ 113 (1749)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო


## მსოფლიო ჩემპიონატზე

7-11 აგვისტოს შოტლანდიაში გაიმართება ველოსიპედისტ ქალთა მორიგი მსოფლიო პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 12 ქვეყანამ. ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან გ. ერმოლაევა, ვ. პამფილოვა, ს. სობოლევა, ვ. სავინა, ლ. ქოვინა, მ. ლევინა, თ. ნოვიკოვა და სხვები, უკვე გაემგზავრნენ ლონდონს. ეს იქნება საბჭოთა სპორტსმენების მსოფლიო ჩემპიონატში მეოთხე მონაწილეობა. გამარჯვების ძირითად პრეტენდენტად სპეციალისტები აღიარებენ საბჭოთა გუნდს, ხოლო ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობას ძირითად კონკურენტებად მიაჩნიათ ინგლისის, გფრ-ს, საფრანგეთისა და ბელგიის გუნდები.

## პირველი შეხვედრები

როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვში „მეტროსტროის" სტადიონზე მიმდინარეობს სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის" საკავშირო ასპარეზობა ხელბურთში (7X7). უკვე დაიწყო საფინალო შეხვედრები. საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელბურთელთა შეხვედრა. გაიმარჯვეს კიეველებმა ანგარიშით — 18:14. ასპარეზობა გრძელდება.



## „იტალიის თასი"

## მოსკოვში გათამაშება

ყველა დიდი საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებათა უცვლელი მონაწილე! ასე უწოდებენ სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებ გუნდს. ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ჩვენი გუნდი ასეთ დიდ შეჯიბრებაში პირველად გამოვიდა, უძლიერესთა შორის არ მოიხსენიეს. ეს სიმართლეს მოკლებული არ იყო. მაშინ ჩვენი ნაკრები შედარებით სუსტად თამაშობდა. მან ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მსოფლიოს უძლიერეს კოლექტივებს და ვერც ერთი საპასუხისმგებლო მატჩი ვერ მოიგო. ეს იყო დებიუტი საერთაშორისო სარბიელზე. ამის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა ნაკრების წევრებთან სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, გადმოღებული იქნა მსოფლიოს უძლიერესი გუნდების გამოცდილება, რამაც სათანადო ნაყოფი გამოიღო. უკვე 1956 წელს საბჭოთა წყალბურთელებმა სთქვეს თავისი სიტყვა — მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში დაიკავეს მესამე საპრიზო ადგილი. ერთი წლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა „იტალიის თასის" გათამაშებაში. აქ მან დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა პირველი ადგილი და „იტალიის თასი".

სამამულო წყალბურთის კიდევ ერთი წარმატებით აღინიშნა რომის ოლიმპიური თამაშები, სადაც მსოფლიოს უძლიერეს კოლექტივებთან ბრძოლაში სსრ კავშირის ნაკრებმა მხოლოდ ერთი მატჩი წააგო (იტალიასთან) და დამსახურებულად დაიკავა მეორე ადგილი. საბჭოთა ნაკრებში კარგი თამაშით გამოირჩეოდა გ. ჩიქვანაია, რომელმაც იუგოსლავიის გუნდთან შეხვედრაში გაიტანა გადამწყვეტი ბურთი და ჩვენს გუნდს მოუტანა ვერცხლის მედალი. აღსანიშნავია, რომ ფინალურ მატჩებში გატანილ 7 ბურთიდან 5 გ. ჩიქვანაიას ეკუთვნის, რის გამო მას რომში მთავარი ოლიმპიური ბომბარდირი უწოდეს.

2 დღის შემდეგ მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საწყლოსნო აუზში დაიწყება საერთაშორისო ტურნირი „იტალიის თასზე", რომელშიც ევროპის უძლიერეს გუნდებთან ერთად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის ნაკრები. მის ძირითად შემადგენლობაში გამოდიან თბილისის „დინამოს" მოთამაშეები ლ. გოგოლაძე და გ. ჩიქვანაია.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის ნაკრების გუნდის წევრი გ. ჩიქვანაია უტევს მეტოქის კარს.

ფოტო ვ. ტუტოვისა

## ჭაბუკთა შორის

ამას წინათ კიევში დამთავრდა საუწყებათაშორისო პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. გათამაშებაში მონაწილეობდა საქართველოდან წარგზავნილი ბევრი სპორტსმენი.

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა „დინამომ", მეორე — „უროჟაიმ" და მესამე — „ტრუდმა".

კარგად გამოვიდნენ ქართველი სპორტსმენები ცალკეულ წონით კატეგორიებში: ქუთაისელმა ესებუამ („დინამო") და თბილისელმა კოზირევმა („განთიადი") დაიკავეს პირველი ადგილები. თავიანთ წონებში საპრიზო ადგილები დაიკავეს ნარსიამ („დინამო", ქუთაისი, II ადგილი) და დუდუჩავამ („შრ. რეზერვები", თბილისი, III ადგ.).

## ვერცხლის მედლები

ხმლით ფარიკაობით დამთავრდა ტურინში მსოფლიო პირველობა ფარიკაობაში. სსრ კავშირის გუნდი შეჯიბრებაში გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: ნ. ასათიანი, ვ. ქიტნი, ლ. კუზნეცოვი, ი. რილსკი, უ. მალვიხანოვი და ე. ჩერეპოვსკი. წინასწარ შეხვედრებში საბჭოთა მოფარიკავეებმა დაამარცხეს გფრ-ს და იაპონიის სპორტსმენები და პოლონეთის, უნგრეთისა და იტალიის გუნდებთან ერთად ფინალში გავიდნენ. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდები, უკანასკნელ შეხვედრამდე ანგარიში იყო 8:7 უნგრელების სასარგებლოდ. გადამწყვეტ ბრძოლაში საფარიკაო ბილიკზე გამოვიდნენ ი. რილსკი და უნგრელი ხორვატი. ანგარიში წაიყვანა საბჭოთა გუნდის წარმომადგენელმა — 1:0, 2:0, 4:1 და 5:1.

ამრიგად, ფარიკაობის ისტორიაში პირველად, საბჭოთა სპორტსმენებმა სძლიეს უნგრეთის ხმლით მოფარიკავეებს, მაგრამ პოლონეთთან გადამწყვეტ შეხვედრაში დამარცხება განიცადეს და ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდნენ.

* * *



სურათზე: საბჭოთა გუნდის წევრი ნ. ასათიანი.

## თბილისელთა გამარჯვება

ხარკოვი. (ჩვენი საკ. კორ.). თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის კოლექტივმა, რომელმაც რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე უძლიერესის სახელი და „სპარტაკის" ტექნიკუმების საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, აქაც ისახელა თავი. გამოდიოდნენ რა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში, თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდის ყველა წევრმა მაღალ დონეზე შეასრულა ვარჯიშები, დაამარცხეს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოსა და სხვა გუნდები და მოიპოვეს ჩემპიონობა.

## ჯერჯერობით მეორე ადგილზე

კიშინიოვი. (ტელეფონით). აქ დაიწყო „შრომითი რეზერვების" სისტემაში შემავალი პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია სპორტის 16 სახეობა — მძლეოსნობა, სპორტული თამაშები, ტანვარჯიში, ველოსპორტი და სხვ. შეჯიბრებაზე კარგად გამოდიან საქართველოს წარმომადგენლები, რომლებმაც უკან ჩამოიტოვეს უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და სხვა რესპუბლიკების გუნდები და სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ დღემდე ჩატარებულ შეჯიბრებათა მიხედვით მეორე ადგილზე იმყოფებიან.

# რაიკომის ბიუროზე

ამ დღეებში საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პლენუმის 1959 წლის 26 სექტემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ბიურომ აღნიშნა, რომ რაიონის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების რაიონულმა კავშირმა, სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებმა და ფიზკულტურულმა კოლექტივებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს, ორი წლის მანძილზე გადაჭარბებით იქნა შესრულებული ნიშნოსნებისა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმები, სისტემატურად და მაღალ დონეზე ტარდება სექციების მეცადინეობა, ახლად შეიქმნა და წარმატებით გაშალა მუშაობა მაგიდის ჩოგბურთის, კრივის, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის სექციებმა.

მიუხედავად ამისა, რაიონში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისა და მისი მასობრიობის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანია. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, თავმჯდომარეების და მსაჯთა გადამზადების საქმე. რაიონის ბევრ სკოლაში არ არის შექმნილი მატერიალური ბაზა ფიზკულტურის სწავლების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებისათვის. მასწავლებელთა ერთი ნაწილი მაქსიმალურად არ იყენებს არსებულ შესაძლებლობას, არ ზრუნავს მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობისათვის, არ ატარებს დილის გამამხნევებელ ვარჯიშებს.

სუსტად მუშაობენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები „კოლმეურნე“ (თავმჯდომარე ნ. კაკაურიძე), „სპარტაკი“ (თავმჯდომარე ე. ქლიბაძე), „ლოკომოტივი“ (თავმჯდომარე ფ. მოდებაძე). კავშირგაბმულობის ზესტაფონის რაიკანტორაში, „ზესტაფონმშენში“, სახბანკის ზესტაფონის განყოფილებაში, 1-ლ და მე-2 ავტოსატრანსპორტო კანტორაში დღემდე შექმნილი არ არის ფიზკულტურული კოლექტივები.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა განსაკუთრებით სუსტად არის დაყენებული სოფლის მოსახლეობაში — დილიკოურის, ზედა საქარის, ბოსლევის, კვალითის, შრომისა და წიფლავაკის კოლმეურნეობებში დღემდე მიწის ნაკვეთებიც არაა გამოყოფილი სპორტული მოედნებისათვის, ხოლო საზანოს, კლდეეთის, ფუთის კოლმეურნეობებში და როდინოულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში არ გააჩნიათ სპორტული ინვენტარი და ფორმები, რის გამო აქაური სპორტსმენები მონაწილეობას ვერ ღებულობენ რაიონულ შეჯიბრებებში.

შეუწყნარებლად ჭიანურდება ფეროშენადნობთა ქარხნის სტადიონის კეთილმოწყობა, სათანადო ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეობებში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობას.

ბიურომ აღნიშნა ისიც, რომ ნაკლოვანებებს ადგილი არ ექნებოდა რომ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების რაიონულ კავშირს, საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიკომს, განათლების განყოფილებას და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს სათანადო დახმარება გაეწიათ ფიზკულტურული კოლექტივებისათვის.

ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ბიურომ მიიღო სათანადო დადგენილება.

**ს. ტალახაძე**



საქართველოს ნორჩ მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი, რომელიც უნდა გაემგზავროს VII საკავშირო სპარტაკიადაზე ბაქოში, მეცადინეობს ლესელიძეში.

**სურათზე:** მოჭადრაკეები მორიგ მეცადინეობაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# შეჯიბრების კულტურისათვის

შეჯიბრების პროგრამას ასეთი სქემა უნდა ჰქონდეს:

1. მოკლე ისტორიული ცნობები (ტრადიციული შეჯიბრებისათვის).
2. ძირითადი საკითხები შეჯიბრების დებულებიდან და გამარჯვებულთა გამოვლენის პირობები.
3. შეჯიბრების წესების ის სპეციფიკური საკითხები, რომლებიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და მაყურებლისათვის ინტერესს წარმოადგენს.
4. გასული წლების ჩემპიონები და რეკორდსმენები.
5. შეჯიბრების პროგრამა დღეებისა და საათების მიხედვით, საკავშირო, საერთაშორისო და რესპუბლიკური (ან საქალაქო) რეკორდების ცხრილით.
6. მონაწილეთა შემადგენლობა და შედეგების აღსანიშნავად ჩასაწერი ადგილი.

კარგად გაფორმებული, ყურადღებით შედგენილი და ხარისხიანი პროგრამა მაყურებლისა და სპორტსმენებისათვის სამახსოვრო საბუთია და მას დიდი სურვილით შეიძენს ყველა, რაც თავისთავად, სპორტის ამა თუ იმ სახეობის პოპულარიზაციის შესანიშნავი საშუალება იქნება. მიუხედავად ამისა, ამ ღონისძიებებს დამხმარე მნიშვნელობა აქვს და დაქვემდებარებული ხასიათის არიან.

საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ყოველი სპორტული შეჯიბრება თავისებური სანახაობაა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ამა თუ იმ სპორტული ასპარეზის მასშტაბები და ეცადონ, რაც შეიძლება უფრო მეტად დაუახლოვონ მაყურებელი შეჯიბრების მონაწილეებს.

შეჯიბრების წინ სავალდებულოა ჩატარდეს მონაწილეთა აღლუმი და დროშის აღმართვა, რაც კარგი ტრადიციაა და გამოხატავს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. საჭიროა მხოლოდ, რომ აღლუმი დაიწყოს ზუსტად დანიშნულ დროზე, ჩატარდეს ორგანიზებულად და მონაწილეებს ჰქონდეთ კარგი სპორტული ტანსაცმელი.

აღლუმი და საზეიმო გახსნის ცერემონიალი არ უნდა იყოს გაჭიანურებული. შეჯიბრების გახსნა შეიძლება დაუკავშირდეს მონაწილე გუნდებისა და მონაწილეების მაყურებლისათვის წარდგენას. სპარტაკიადებისა და დიდი შეჯიბრებების ჩატარებისას, საზეიმო გახსნის შემდეგ, შეიძლება საჩვენებელი გამოსვლების მოწყობა საუკეთესო სპორტსმენების მონაწილეობით, ან ჩატარდეს შეჯიბრების ყველაზე უფრო საინტერესო სახეობა. ამიტომაა, რომ ხშირად შეჯიბრების გახსნის დღეს, დილით, ატარებენ წინასწარ შეხვედრებს, ხოლო საღამოს, ოფიციალური გახსნის შემდეგ, ფინალურ შეჯიბრებას. მაგრამ, მიუხედავად იმ დიდი მნიშვნელობისა, რომელიც ენიჭება საზეიმო გახსნას, არ შეიძლება გადაჭარბება ამ საკითხში, ზედმეტი „ბუტაფორიულობა“.

შეჯიბრების მსვლელობის ინფორმაცია პროპაგანდის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც უშუალოდ შეჯიბრების პროცესში ხორციელდება. ასეთი ორგანიზაციის ძირითადი საშუალებაა რადიომაუწყებლობა. მისდამი წაყენებული მოთხოვნები ძირითადად შემდეგია:

1. დიქტორის შერჩევა — ხმის კარგი მონაცემებით და მეტყველების დიდი კულტურით.

2. დიქტორის ტექსტის წინასწარი შემუშავება; ტექსტში უნდა აღინიშნოს მიმდინარე შეჯიბრების მნიშვნელობა, შეიცავდეს მოკლე ისტორიულ მიმოხილვას, ცნობას მონაწილე გუნდებისა და სპორტსმენების შესახებ, შეჯიბრების გუნდური და პირადი პირველობის განსაზღვრის წესს, შეჯიბრების პროგრამას, მოკლე ცნობებს შეჯიბრების წესებიდან და მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობას. ასეთი წინასწარ შემუშავებული ტექსტი საშუალებას იძლევა აცილებულ იქნას ბევრი შეცდომა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ოპერატიულობას. შედეგები უმოკლეს დროში უნდა გამოცხადდეს. ამისათვის დიქტორის ან ინფორმაციის დარგში მთავარი მსაჯის მოადგილის განკარგულებაში უნდა გამოიყოს სათანადო კავშირგაბმულობის საშუალებები (ტელეფონი, პორტატული რადიოგადამცემები) და თანაშემწეების საჭირო შტატი. საბოლოო შედეგების გარდა, მნიშვნელოვანია სპორტული ბრძოლის მიმდინარეობის ინფორმაცია.

ბევრი დიქტორი მეტად „ენაწყლიანია“, რითაც ღლის მაყურებელს, ბოლოს აჩლუნგებს მის ყურადღებას და ხელს უშლის შეჯიბრების მსვლელობის შეგრძნებას.

ხანდახან მაყურებელი უკმაყოფილოა მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით. აქაც დიქტორის როლი მეტად დიდია. ზუსტი და მკაფიო განმარტება იმისა, თუ რა მოხდა, რის საფუძველზე იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ტრიბუნებს უბრუნებს სიმშვიდეს.

თუ შეჯიბრების დასაწყისში აღმართული იყო დროშა, დამთავრებისას უნდა ჩატარდეს დროშის ჩამოშვების ცერემონიალიც და მონაწილეთა პარადი შეჯიბრების დახურვისას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია შეჯიბრების მონაწილეთა დაჯილდოვება, რომელიც შეიძლება ჩატარდეს უშუალოდ შეჯიბრების პროცესში ან დამთავრებისას. ამ გარემოებას, გარდა ელემენტარული პატივისცემისა მონაწილეთა ან გუნდების მიმართ, დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტის პროპაგანდისა და შეჯიბრების საერთო კულტურისათვის.

თანამედროვე პირობებში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების დონე იმდენად მაღალია, რომ ჩვეულებრივი ხერხით ტექნიკური შედეგების განსაზღვრა ხანდახან გაძნელებულია. ამიტომ დღის წესრიგში დიდი ხანია დგას სპორტულ შეჯიბრებათა ავტომატური ხელსაწყოებით და გაუმჯობესებული თანამედროვე ინვენტარით უზრუნველყოფა.

შეუძლებელია სპორტული შეჯიბრების ჩატარება მაღალკულტურულ დონეზე, თუ არ არის გათვალისწინებული შეჯიბრების მონაწილეთა შეხვედრის, მიღების, მათი მომსახურების საკითხები. რამდენი გულისწყრომაა გამოთქმული სპორტსმენთა მიერ, როდესაც მათი დაბინავებისა და კვების ორგანიზაციის საკითხები მათი თანდასწრებითა და გაჭიანურებით გვარდება.

საბჭოთა სპორტის შინაარსი, მისი შესანიშნავი წარმატებანი სპორტული შეჯიბრების კულტურის ამაღლების საკითხს მწვავედ აყენებს. საჭიროა სისტემატური და მუდმივი მუშაობა ამ მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებისათვის.

**ლ. გიორგაძე,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 108, 111.

# სპორტის ოსტატი, ექიმი, მეცნიერი

## ჩვენი სპორტის ვეტერანები

**1935** წელი. ლენინგრადი. გა-ნათებული სპორტული დარბაზი. იწყება საბჭოთა კავშირის პირ-ველობა ტანვარჯიშში...

იგი უკვე ასპარეზზეა — კოხტა ქართველი ქალი. მას ერთი გრძნობა იპყრობს: რაც შეიძლება უკ-თესად შეასრულოს ვარჯიში, ას-ხელოს ქართული ტანვარჯიშის სკოლა და თავისი საყვარელი მა-სწავლებელი — გ. ს. ეგნატაშვი-ლი. მშვიდად ასრულებს სპორტს-მენი ურთულეს ილეთებს. უკანა-სკნელი მოძრაობა და ამოისუნ-თქა დარბაზმაც. მესამე ადგილი მოპოვებულია!..

ეს იყო დაუვიწყარი დღე, ვი-ნაიდან არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირშიც იგი იყო პირველი ქალი, ექიმი, სპორ-ტის ოსტატის წოდებით.

...იულია ნიკოლოზის ასულ ფარეშაშვილის ბავშვობის ოცნება იყო ტანვარჯიში და ქირურგია. ეს ოცნება სინამდვილედ იქცა დიდ-დაძაბული, დაუღალავი შრომით.

**1933** წელს იგი უკვე სამედი-ცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ჯერ საქართველოს, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ჩემპიონის სახელ-ს იხვეჭს და წლების განმავლობაში ითვლება უძლიერეს ტანმოვარჯი-შედ, არ ყოფილა არც ერთი მნი-შვნელოვანი შეჯიბრება, სადაც მა არ მიეღოს მონაწილეობა და წარ-მატებით არ დაეცვას ქართული სპორტის ღირსება.

ამჟამად ი. ფარეშაშვილი თბი-ლისის ტრავმატოლოგიისა და ორ-თოპედიის ინსტიტუტში ეწევა ნა-ყოფიერ მუშაობას. იგი რესპუბ-ლიკური კატეგორიის მსაჯიც არის, ხშირად ესწრება შეჯიბრებებს და მის მიერ დასმული „დიაგნოზი“ როგორც წესი, აქაც ზუსტი და სამართლიანია.

ღამეა... ყველას სძინავს... ექი-მი კი მუშაობს. გამართულ ჯდო-მაზე ადვილად შეამჩნევთ, რომ ის სპორტსმენია.

„სხეულის საფარველის დეფექ-ტების კანის გადანერგვით მკურნა-ლობა“ — ასე ეწოდება სადოქ-ტორო ნაშრომს, რომელსაც იგი ამზადებს.

აქვე, ამავე კაბინეტში მოთავსე-ბულია 30 სამეცნიერო ნაშრომი, უამრავი სიგელი და ჯილდო ქირურ-გიასა და ფიზიკურ კულტურაში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, მადლობის წერილები და ალბო-მები, საიდანაც გვიყურებენ მი-წყალობით განკურნებული ადამია-ნები.

როცა მის მუშაობას უყურ-გიკვირს: რამ შექმნა ასეთი გა-ცვიფრებელი გამძლეობა, უნარი ამ ერთი შეხედვით, პატარა, ზი აგებულების ადამიანში?!

ამაზე თვითონ ი. ფარეშაშვილი იძლევა ნათელ პასუხს: „რა თქმა უნდა, სპორტმა!“

**ნ. სულიაშვილი**

ლელო
მე-2 გვ. № 113 (1749)

# საფეხბურთო მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „დიდი ანგარიშის" ჯილდოზე

„სოვეტსკი სპორტის" ყოველკვირეულმა დამატებამ — „ფუტბოლმა" როგორც ცნობილია, დააწესა ჯილდო გუნდისათვის, რომელიც მოიგებს ყველაზე მეტ მატჩს დიდი ანგარიშით (3 ბურთისა და მეტი განსხვავებით).

მოგვყავს ამ პრიზის კანდიდატი გუნდები თანამიმდევრობით.

**1. სკა (როსტოვი) — 5 გამარჯვება**

ვილნიუსის „სპარტაკთან" — 5:1, სტალინოს „შახტიორთან" — 3:0, ვორონეჟის „ტრუდთან" — 4:1, რიგის „დაუგავასთან" — 6:1, ბაქოს „ნეფტიანიკთან" — 5:1, სულ 22 — 4 = + 19.

**2. ცსკა — 5 გამარჯვება**

ტალინის „კალევთან" — 4:0, ერევნის „სპარტაკთან" — 4:1, ტაშკენტის „პახტაკორთან" — 6:2, მოსკოვის „დინამოსთან" — 5:1, ალმა-ატის „კაირატთან" — 4:1. სულ 23 — 5 = + 18.

**3. „ტორპედო" (მოსკოვი) — 4 გამარჯვება**

სტალინოს „შახტიორთან" — 3:0, ლენინგრადის „ადმირალტეეცთან" — 6:3, ბაქოს „ნეფტიანიკთან" — 7:1, რიგის „დაუგავასთან" — 5:0. სულ 21 — 4 = + 17.

**4. „სპარტაკი" (მოსკოვი) — 4 გამარჯვება**

ალმა-ატის „კაირატთან" — 5:1, ტალინის „კალევთან" — 5:1, ლენინგრადის „ზენიტთან" — 6:2, მინსკის „ბელარუსთან" — 3:0. სულ 19 — 4 = + 15.

**5. „დინამო" (კიევი) — 3 გამარჯვება**

ლენინგრადის „ზენიტთან" — 3:0, ტალინის „კალევთან" — 6:1 და 4:0. სულ 13 — 1 = + 12.

**6. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — 3 გამარჯვება**

ვილნიუსის „სპარტაკთან" — 5:2, ვორონეჟის „ტრუდთან" — 5:1, თბილისის „დინამოსთან" — 5:0. სულ 15 — 3 = + 12.

**7. „დინამო" (თბილისი) — 3 გამარჯვება**

მოსკოვის „ლოკომოტივთან" — 4:0, ლენინგრადის „ადმირალტეეცთან" — 3:0, რიგის „დაუგავასთან" — 3:0. სულ 10 — 0 = + 10.

## „სნაიპერთა" სია

1. ა. მამიკინი (ც ს კ ა, მოსკოვი) — 16 ბურთი.
2-3. გ. გუსაროვი („ტორპედო", მოსკოვი) — 14 ბურთი.
2-3. გ. კრასნიცკი („პახტაკორი", ტაშკენტი) — 14 ბურთი.
4. ვ. ვოროშილოვი („ლოკომოტივი", მოსკოვი) — 13 ბურთი.
5. ვ. კანევსკი („დინამო", კიევი) — 12 ბურთი.
6. ვ. სტრეშნი (სკა, როსტოვი) — 11 ბურთი.

**შენიშვნა:** საუკეთესო „სნაიპერის" სხვა კანდიდატებს გატანილი აქვთ 10-ზე ნაკლები გოლი.



სურათზე: ქუთაისის „ტორპედოს" ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც საკავშირო გათამაშების ზონაში პირველი ადგილის დაკავებით ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ფოტო ა. ადამოვისა.

## მატჩები აგვისტოში

**„ა" კლასი**

**I ქვეჯგუფი**

**5.** „ტორპედო" (მოსკოვი)-„შახტიორი" (სტალინო), „სპარტაკი" (ვილნიუსი)-„დინამო" (თბილისი), „ადმირალტეეცი" (ლენინგრადი)-„ნეფტიანიკი" (ბაქო), „ავანგარდი" (ხარკოვი)-„ტრუდი" (ვორონეჟი). **6.** „ლოკომოტივი" (მოსკოვი)-სკა (როსტოვი). **10.** „ტორპედო" (მოსკოვი)-სკა (როსტოვი), „დინამო" (თბილისი)-„ნეფტიანიკი" (ბაქო), „დაუგავა" (რიგა)-„სპარტაკი" (ვილნიუსი). **11.** „ადმირალტეეცი" (ლენინგრადი)-„ლოკომოტივი" (მოსკოვი), **15.** „ტორპედო" (მოსკოვი)-„ავანგარდი" (ხარკოვი), „შახტიორი" (სტალინო)-სკა (როსტოვი).

**II ქვეჯგუფი**

**4.** ცსკა-„ბელარუსი" (მინსკი). **5.** „სპარტაკი" (ერევანი)-„ზენიტი" (ლენინგრადი), „დინამო (კიევი)-„პახტაკორი" (ტაშკენტი), „კალევი" (ტალინი)-„სპარტაკი" (მოსკოვი), „მოლდოვა" (კიშინიოვი)-„კაირატი" (ალმა-ატა). **9.** „სპარტაკი" (მოსკოვი)-ცსკა. **10.** „სპარტაკი" (ერევანი)-„მოლდოვა" (კიშინიოვი), „ზენიტი" (ლენინგრადი)-„კალევი" (ტალინი), „ბელარუსი" (მინსკი)-„დინამო" (მოსკოვი), „დინამო" (კიევი)-„კაირატი" (ალმა-ატა).

შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

I ქვეჯგუფის ლიდერი — მახარაძის „სიხარული" თამაშობდა ჩოხატაურში ადგილობრივ „ბახმაროს" წინააღმდეგ. მასპინძლებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ლიდერს, მაგრამ მაინც განიცადეს დამარცხება ანგარიშით 0:1.

ბათუმში თამაშობდნენ სოხუმის დინამოელები და ბათუმის „განთიადი". ბათუმელებმა დიდი ალმავლობით ჩაატარეს თამაში და მიაღწიეს გამარჯვებას — 3:0.

იგივე ანგარიში იქნა ფიქსირებული ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდსა და ჩოხატაურის „ბახმაროს" შეხვედრაში. გაიმარჯვეს სტუდენტმა ფეხბურთელებმა.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მატჩი თელავში ადგილობრივ „კოლმეურნესა" და ქობულეთის „შუქურას" შორის. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდის კართან მრავლად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია. ამასთან, თელაველებმა ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო. შესვენების შემდეგ თელაველებმა ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, მაგრამ „შუქურამ" შეძლო ორივე გოლის გაქვითვა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

ჭიათურის „მაღაროელისა" და გეგეჭკორის „სალხინოს" შორის შეხვედრა თანაბარი უპირატესობით დაიწყო, მაგრამ „მაღაროელის" ფეხბურთელებმა თანდათან ხელთ იგდეს ინიციატივა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:0.

ადიგენის „მექანიზატორი" არ გამოცხადდა ტყიბულის „მეშახტესთან" სათამაშოდ, რისთვისაც მას ჩაეთვალა დამარცხება.

ზუგდიდის „ოდიშმა" თავის მინდორზე მიიღო II ქვეჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი — ახალციხის „მესხეთი". პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. შესვენების შემდეგ ინიციატივა სტუმრებს აქვთ, მაგრამ მათი თავდამსხმელები ვერ იყენებენ ბურთის გატანის რამდენიმე კარგ შესაძლებლობას. მატჩის დასასრულამდე 3 წუთით ადრე ზუგდიდელებმა გამოიყენეს მოწინააღმდეგე გუნდის მცველებისა და მეკარის შეუთანხმებელი მოქმედება და თირქიამ გაიტანა გოლი, რომელმაც გუნდს მოუტანა გამარჯვება—1:0. აღსანიშნავია ზუგდიდელი ფეხბურთელების უხეში თამაში.

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „ისანი" და „სპარტაკი". ანგარიში




სპარტაკელებმა გახსნეს პირველ ტაიმში, მაგრამ „ისანი" შემდგომში თამაშობდა გაცილებით უკეთესად და გამარჯვებაც მას დარჩა — 3:1.

ქუთაისის „მშენებელმა" მიიღო ზონის ლიდერი — „გურია" (ლანჩხუთი). ქუთაისელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩი, თუმცა გუნდის თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება. ლიდერი სრული ძალით ათამაშდა მხოლოდ მატჩის დასასრულს, მაგრამ ბურთის გატანა ვერც მან შეძლო — 0:0.

კვლავ გამოამჟღავნა თავისი არაორგანიზებულობა და უდისციპლინობა რუსთავის „სპარტაკმა". გუნდი ამჯერად თამაშობდა წულუკიძეში ადგილობრივი „ფეიქარის" წინააღმდეგ და 11 წულუკიძელის წინააღმდეგ თავის შემადგენლობაში გამოიყვანა მხოლოდ... 8 მოთამაშე. გამარჯვება, რა თქმა უნდა, მოიპოვა „ფეიქარმა"—10:2.

მორიგ გამარჯვებას მიაღწია სტალინირის „სპარტაკმა" საკუთარ მინდორზე ცხაკაიას „განთიადთან". სტალინირელთა დიდი უპირატესობა განსაკუთრებით ნათელი იყო მეორე ტაიმში. ცხაკაიას „განთიადი" დამარცხებულ იქნა ანგარიშით 5:0.

## პირველი ათეული

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | დაკ.ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ც ს კ ა | 18 | 12 | 3 | 3 | 51—25 = + 26 | 27 | 9 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 17 | 13 | 1 | 3 | 44—19 = + 25 | 27 | 7 |
| „დინამო" (კიევი) | 18 | 10 | 5 | 3 | 33—17 = + 16 | 25 | 11 |
| „ლოკომოტ." (მოსკოვი) | 18 | 9 | 6 | 3 | 34—22 = + 12 | 24 | 12 |
| „ავანგარდი" (ხარკოვი) | 18 | 9 | 6 | 3 | 19—13 = + 6 | 24 | 12 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 19 | 9 | 5 | 5 | 29—30 = + 1 | 23 | 15 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 18 | 9 | 4 | 5 | 33—18 = + 15 | 22 | 14 |
| ს კ ა (როსტოვი) | 17 | 9 | 3 | 5 | 37—17 = + 20 | 21 | 13 |
| „დინამო" (თბილისი) | 18 | 8 | 5 | 5 | 28—22 = + 6 | 21 | 15 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 19 | 8 | 5 | 6 | 33—27 = + 6 | 21 | 17 |

ანალოგიურად მიმდინარეობდა მატჩი ფოთში ადგილობრივ „მეზღვაურსა" და გორის „დილას" შორის. ფოთელებმა მეორე ტაიმში მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 6:1.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მატჩი ყვარელში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ „დურუჯი" (ყვარელი) და „ლოკომოტივი" (სამტრედია). 90 წუთის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

• • •

გრძელდება გათამაშება II ჯგუფის გუნდებს შორის. მოგვყავს შეხვედრათა ტექნიკური ანგარიშები:

„ჩანჩქერი" (ლაგოდეხი)-„ბახტრიონი" (ახმეტა) — 2:2, „მშენებელი" (რუსთავი)-ადგ. მრეწ. კომბ. (მცხეთა) — 4:1, „იორი" (თიანეთი)-„არაგვი" (დუშეთი) — 6:3. ცემ. ქარხანა (კასპი)-„განთიადი" (ბორჯომი) — 3:1, „განთიადი" (ლანჩხუთი)-„ლაითური" (მახარაძე) — 3:0, მექან. ქარხანა (აბაშა)-„ალი" (დიდი ჯიხაიში) — 6:2, ჰიდ. მექ. ქარხანა (ფოთი)-„განთიადი" (სამტრედია) —3:0, ჩაის ფაბრიკა (წალენჯიხა)-სტალინის სახ. კოლმეურნეობა (ხობი) — 6:0, „სამეგრელო" (ზუგდიდი)-„განთიადი" (ზუგდიდი) — 1:1, „სპარტაკი" (ცხაკაია)-ლესიჭინის ჩაის მეურნეობა (ჩხოროწყუ) — 6:4, საგზაო მშენებლობა (ონი)-„საქგუმბრინი" (წყალტუბო) — 1:2, „კოლმეურნე" (ამბროლაური)-ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) — 1:2. „განთიადი" (ზესტაფონი)-„მოდინახე" (საჩხერე) — 2:0, „ბახტრიონი" (ახმეტა)-„შირაქი" (წითელწყარო) — 1:4, ადგ. მრეწ. (მცხეთა)-„ჯავახეთი" (დმანისი) — 5:1, „ახალგაზრდობა" (ბოლნისი)-მარნეული — 4:1, „სპარტაკი" (მახარაძე)-„განთიადი" (ლანჩხუთი) — 1:1, „ალი" (დიდი ჯიხაიში)-„ლაითური" (მახარაძე) — 1:1, „ჩაისუბანი" (ჩოხატაური)-მექ. ქარხანა (აბაშა) — 0:2, „მერცხალი" (სამტრედია)-ჰიდრ. მექ. ქარხანა (ფოთი) — 2:2, „განთიადი" (ზუგდიდი)-ჩაის ფაბრიკა (წალენჯიხა) — 3:1, ლესიჭინის ჩაის მეურნეობა (ჩხოროწყუ)-„სამეგრელო" (ზუგდიდი) — 1:4, „საქგუმბრინი" (წყალტუბო)-„ხვამლი" (ცაგერი) — 1:1, მარნეული-ადგ. მრეწ. კომბ. (თეთრი წყარო)—3:4.



სურათზე: რესპუბლიკის ერთ-ერთი მზარდი მძლეოსანი, ბადრონსმტყორცნელი ე. გუდაშვილი ვარჯიშის დროს.

## მეხუთე ფინალისტი

გამოირკვა მომავალი საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ერთი, მეხუთე ფინალისტი. ესაა ურუგვაის ნაკრები.

ურუგვაისა და ბოლივიის გუნდებმა თავიანთი პირველი შესარჩევი შეხვედრა დაამთავრეს ფრედ —1:1. განმეორებითი მატჩი ურუგვაელებმა თავიანთ სტადიონზე მოიგეს ანგარიშით 2:1 და გავიდნენ ჩემპიონატის ფინალურ ჯგუფში.

# სანამ მწვრთნელები მოგზაურობენ

ფეხბურთის მწვრთნელებს უყვართ მოგზაურობა. ისინი შეუმჩნევლად „დაეხეტებიან" მომავალ მოწინააღმდეგეთა ქვეყნებში და სწავლობენ თითქოს სრულიად უმნიშვნელო დეტალებსაც კი. ამგვარ „ტურისტთა" შორის განსაკუთრებით გამოირჩევა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელი ზ. ჰერბერგერი.

მსოფლიოს VI ჩემპიონატიდან ჯერ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ იგი სამხრეთ ამერიკის პირველობას დაესწრო, სადაც აკვირდებოდა მომავალ მეტოქეთა თამაშის მანერას. როცა მორიგი გათამაშების კენჭისყრამ გერმანელებს მეტოქეებად ბერძნები და ჩრდილოეთ ირლანდიელები არგუნა, ჰერბერგერი ათენში გამოჩნდა. აქ მან დაწვრილებით გამოცადა, როგორ კვებავენ უცხოელებს და სასტუმროც წინასწარ დაიქირავა. ამ გამოცდილ მწვრთნელს ასეთმა შორსმჭვრეტელობამ წარსულში უკვე ორჯერ მოუტანა ნაყოფი და ივი ამჯერადაც ოპტიმისტურად შეჰყურებს მომავალ შეჯიბრებას ჩილეში.

სულ რამდენიმე წლის წინათ ინგლისელი ფეხბურთის მესვეურები ქედმაღლურად უყურებდნენ „დანარჩენ მსოფლიოს". ისინი გამოაფხიზლა ნაკრების სისტემატურმა მარცხმა არა მარტო მსოფლიო ჩემპიონატში, არამედ ამხანაგურ საერთაშორისო თამაშებშიც (საკუთარ მინდორზეც კი). ამის შემდეგ უ. უინტერბოტომმა ჰკუა ისწავლა და საგანგებოდ იმოგზაურა პორტუგალიაში, რომლის გუნდი ადრე ინგლისში სიცილადაც არ ყოფნიდათ. ჯერ არაა დავიწყებული 1946 წელი, როცა ინგლისის ნაკრებმა ლისაბონში სძლია პორტუგალიელებს ანგარიშით 10:0. წელს კი მატჩი ამავე მეტოქეებს შორის კვლავ ლისაბონის სტადიონზე, დამთავრდა ფრედ — 1:1. 40-გრადუსიანი სიცხით დაუძლურებული ინგლისელები მხოლოდ შემთხვევით გადაურჩნენ დამარცხებას. „მე ადრევე ვნახე, რომ პორტუგალიელები ძალზე ძლიერად თამაშობენ", — განაცხადა უინტერბოტომმა.

სულ ახლახან ვ. სპინეტომ არგენტინის ნაკრებით შემოიარა ევროპა და სათანადო დასკვნები გამოიტანა ამ შეხვედრებიდან. როგორც არგენტინელმა მწვრთნელებმა განაცხადეს, ეს მათ გაუადვილებს ჩილეში თამაშს. ამჟამად ევროპაში მოგზაურობს ჩილის ნაკრების მწვრთნელი ფ. რიერა. იგი დაესწრო მეტად საინტერესო მატჩებს (უნგრეთი-ავსტრია, იტალია-არგენტინა, ჩეხოსლოვაკია - არგენტინა, სსრ კავშირი-არგენტინა).

მთელი ევროპა შემოიარეს ბრაზილიის გუნდებმა, რომელთა მწვრთნელებს უკვე ნათელი წარმოდგენა აქვთ ევროპულ ფეხბურთზე და მიუხედავად ამისა, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ სასარგებლოდ ჩათვალა ... ნაკრების ტურნე ევროპაში. თავიანთ მხრივ ევროპელთათვის მეტად საინტერესო შეხვედრებს წარმოადგენს სამხრეთ ამერიკის ... ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაის, პარაგვაის, კოლუმბიისა და ჩილის გუნდების მონაწილეობით. ამ ტურნირზე დასასწრებად, ცხადია, მრავალი ევროპელი მწვრთნელი ჩავა.

ერთი სიტყვით, ურთიერთდაზვერვა გრძელდება.

## შვეციის ტურნირის აღსანიშნავად

რაც უფრო ახლოვდება ფეხბურთელთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ვადები, მით უფრო იპყრობს ციებ-ცხელება, როგორც გულშემატკივრებს, ისე მასში მონაწილეებსა და ორგანიზატორებს. ყველა, ვისაც გამარჯვების რაღაც შანსები გააჩნიათ, ძალღონეს არ ზოგავენ გუნდების საუკეთესოდ მომზადებისათვის. ცხადია, ენერგიას არ იშურებენ უკანასკნელ ტურნირში გამარჯვებული ბრაზილიელებიც.

გუნდის მორალური გაძლიერებისა და ფეხბურთელთა წახალისების მიზნით ბრაზილიის მთავრობამ მიიღო საინტერესო გადაწყვეტილება: მარაკანას ცენტრალურ სტადიონზე მოკლე ხანში დაიდგას შვეციის მსოფლიო ტურნირში ბრაზილიელთა გამარჯვების აღსანიშნავი ობელისკი.

## 50-ე საიუბილეო

მოსკოვში გაიმართა დედაქალაქის მძლეოსანთა 50-ე საიუბილეო ჩემპიონატი. შეჯიბრების დღეებში ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი. პ. ბოლოტნიკოვმა გამარჯვება მოიპოვა 5000 მეტრზე რბენაში სეზონის საუკეთესო შედეგით 13.53,8. მან თავი ისახელა მისთვის უჩვეულო დისტანციაზე —1.500 მ რბენაშიც, სადაც პირველი ადგილი დაიკავა. ჭოკით ხტომა მოიგო ი. კრასოვსკისმა. — 4 მ 10 სმ. ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებულმა ა. ჩუიკოვამ აჩვენა 6 მ 22 სმ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია არმიელი სპორტსმენის ვ. ბუხანცევის წარმატება. გამოდიოდა რა ბადროს მტყორცნელთა შეჯიბრებაში, მან ჩვენს ქვეყანაში პირველმა გადალახა 57-მეტრიანი ზღვარი. მის მიერ ნატყორცნი ბადრო დაეცა 57 მ 05 სმ-ზე, რაც ახალი საკავშირო რეკორდია.

# დღის წესრიგშია ტოკიოს ოლიმპიადა

როგორც ცნობილია, ივნისში, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 59-ე სესიაზე დამტკიცდა 1964 წლის ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამა, აი ისიც:

**ტოკიო, 9-25 ოქტომბერი, 1964 წელი**

**1. კალათბურთი.** კალათბურთელთა პირველი ოლიმპიური ტურნირი მოეწყო 1904 წელს, მაგრამ მაშინ იგი საჩვენებელ ხასიათს ატარებდა. თამაშების პროგრამაში კალათბურთი შეტანილ იქნა 1936 წელს. მას შემდეგ ოლიმპიური პირველობა 5-ჯერ გაიმართა და ხუთივეჯერ გამარჯვება ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებმა მოიპოვეს.

**2. კრივი.** ტოკიოში XVIII თამაშებზე ოლიმპიური კრივი იზეიმებს თავის 60 წლისთავს. ამ ხნის განმავლობაში მოკრივეთა ტურნირების შინაარსი ოლიმპიადებზე საგრძნობლად გაიზარდა. თუ 1904 წელს ოქროს მედლისათვის უმთავრესად შეერთებული შტატების 45 სპორტსმენი იბრძოდა, 1960 წელს რომში, ოლიმპიურ რინგზე 56 ქვეყნის 290 სპორტსმენი გამოვიდა. უკანასკნელ პერიოდში ვერც ერთი ქვეყანა ვერ ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს ოლიმპიურ კრივში. 1952 წელს წარმატება შეერთებული შტატების მოკრივეთა მხარეს იყო, 1956 წელს — საბჭოთა სპორტსმენების, ხოლო 1960 წელს — იტალიელთა მხარეს.

**3. თავისუფალი ჭიდაობა.** კრივის მსგავსად თავისუფალი ჭიდაობა ოლიმპიურ თამაშებში 1904 წლიდან ფიგურირებს. რომის ოლიმპიურ ტურნირში 33 ქვეყნის 163 მოჭიდავე გამოდიოდა. უკანასკნელი წლების ტურნირებში წარმატებას აღწევენ თურქეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. რომში კარგად გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მოჭიდავეებიც.

**4. ძიუ-დო.** ჭიდაობის ამ სახეობის შეტანა თამაშების პროგრამაში, პირველ რიგში ოლიმპიადის მომწყობი ქვეყნისადმი პატივისცემით აიხსნება. იაპონიაში ძიუ-დო სპორტის ეროვნულ და ერთ-ერთ პოპულარულ სახეობად ითვლება. მაგრამ ევროპაში იგი მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია კულტივირებული, რაც შეეხება აფრიკას, აქ სპორტის ამ სახეობას საერთოდ არ იცნობენ.

**5. კლასიკური ჭიდაობა.** კლასიკური სტილით მოჭიდავეები მონაწილეობენ ყველა ოლიმპიურ თამაშებში. მაგრამ თუ ათენში, 1896 წელს პირველობისათვის მხოლოდ 5 მოჭიდავე იბრძოდა, XVII თამაშებზე ეს ციფრი 176 სპორტსმენით განისაზღვრებოდა. ესენი იყვნენ 30 ქვეყნის წარმომადგენლები. სამჯერ გამოვიდნენ ოლიმპიურ ტურნირში საბჭოთა მოჭიდავეები და სამივეჯერ მათ ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს.

**6. ველორბოლა.** ველოსიპედისტთა ოლიმპიური შეჯიბრება 1896 წლიდან ტარდება. მაშინ ტრეკსა და გზატკეცილზე ბრძოლაში მხოლოდ 10 სპორტსმენი გამოდიოდა, რომში კი ველორბოლის მხოლოდ ერთ სახეობაში — გუნდურ საგზატკეცილო რბოლაში 31 ქვეყნის 124 სპორტსმენი მონაწილეობდა. უკანასკნელი თამაშების შემდეგ ველორბოლაში წამყვანი ადგილი იტალიას უკავია.

**7. წყალბურთი.** სპორტული თამაშებიდან პირველად წყალბურთმა მიიღო ოლიმპიური აღიარება. პირველი ოლიმპიური ტურნირი 1900 წელს გაიმართა. მაშინ შეჯიბრებაში —მონაწილე გუნდების რაოდენობა არც თუ ისე დიდი იყო. ახლა კი ფინალისტთა გამოსავლენად ეწყობა წინასწარი, შერჩევითი შეჯიბრებები. დიდხანს წამყვანი როლი წყალბურთში უნგრელებს ეკავათ, მაგრამ 1960 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა იტალიის გუნდი.

**8. ფრენბურთი.** წყალბურთი ხომ ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური თამაშია, ფრენბურთს კი ჯერ არ დაუწყია თავისი ოლიმპიური ისტორია. პირველი ოლიმპიური ტურნირი ფრენბურთში მოეწყობა 1964 წელს. მთავარი ფავორიტი ამ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის ნაკრები იქნება.

**9. ტანვარჯიში.** არც ერთი ოლიმპიადა არ მოწყობილა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებების გარეშე. 1924 წლამდე ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიურ ტურნირებში მხოლოდ ვაჟები მონაწილეობდნენ. მომდევნო წლებში კი ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში ქალებიც ჩაებნენ. მართალია, ისინი 1952 წლამდე მხოლოდ გუნდური პირველობისათვის იბრძოდნენ, მაგრამ სამ უკანასკნელ ოლიმპიადაში როგორც ვაჟები, ისე ქალები პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს იარაღებზეც. ტანვარჯიშში წამყვანი ქვეყნებია საბჭოთა კავშირი და იაპონია, ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ მომავალ ოლიმპიადაზე მათი ბრძოლა კვლავ ყურადღების ცენტრში იქნება.

(გაგრძელება იქნება)

## ამერიკელებმა დაამთავრეს ტურნე

ორ კვირაზე მეტი დაჰყვეს ამერიკელმა მძლეოსნებმა ევროპაში და ოთხი საერთაშორისო მატჩი გამართეს საბჭოთა კავშირის, გერმანიის, ინგლისისა და ბოლოს პოლონეთის სპორტსმენებთან. ისე, როგორც წინა მატჩებში, აქაც აშკარა იყო ამერიკელ ვაჟთა გუნდის უპირატესობა. მათ პოლონელები დაამარცხეს 121:91, მაგრამ ზოგიერთ სახეობაში პოლონელმა მძლეოსნებმა გაცილებით უკეთესი შედეგები აჩვენეს. ასე მაგალითად, პოლონელმა ე. კშიშკოვიაკმა გაიმარჯვა 3.000 მ დაბრკოლებებით რბენაში — 8.32,0. ე. პიანტოვსკიმ ბადრო ტყორცნა 59 მ 12 სმ-ზე და დაამარცხა ჯ. სელვესტრი და სხვა. ამერიკელთაგან აღსანიშნავია რ. ბოსტონის გამარჯვება სიგრძეზე ხტომაში — 8.12 მ და ვ. რუდოლფის ქალთა შორის 100 მ რბენაში — 11,5.

ქალთა შეჯიბრება დამთავრდა პოლონელი სპორტსმენების გამარჯვებით — 57:49.

**რედაქტორი ი. უზულავა.**

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი და სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. ჯორჯაძეს მისი ძმის

**გიორგი ივანეს-ძე ჯორჯაძის** გარდაცვალების გამო.



ლესელიძეში იმყოფებიან ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები, რომლებიც ნაყოფიერი წვრთნით იმაღლებენ სპორტულ ტექნიკას და მალე რესპუბლიკის ნაკრების რიგებში ჩადგებიან.

სურათზე: ტანმოვარჯიშეები დღის რეჟიმით გათვალისწინებული დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04018